ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3356503

ნომერი: AR1513581

თარიღი : 12.06.2017

გაცემის თარიღი : 28.06.2017

გაცნობის თარიღი : 29.06.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი მოსკოვი , N 31 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- კახაბერ აბულაძე პ/ნ 01008021793
- თბილისი ნ.ცხვედაძის ქ. N 56

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 31 აგვისტოს №2809543 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 12 ივნისს №AR1513581 განცხადებით მომართა მოქალაქე კახაბერ აბულაძემ შპს „ახალი ჯგუფი“-ს დირექტორმა გიორგი გოშხოთელიანმა და მოითხოვა ბენზინ/დიზელ გასამართი სადგურის რეკონსტრუქციის მიზნით სამსახურის მიერ 2016 წლის 31 აგვისტოს #2809543 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, სამსახურმა შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2016 წლის 29 ივლისის #1–1376 ბრძანების საფუძველზე არსებული ბენზინ/დიზელ

გასამართი სადგურის შენობის რეკონსტრუქციაზე ორ საკადასტრო ერთეულზე (#01.17.11.006.030; #01.17.11.006.010) გაიცა სპეციალური (ზონალური) შეთანხმება, რომლის საფუძველზეც სამსახურის 2016 წლის 31 აგვისტოს #2809543 ბრძანებით დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.
ვინაიდან, დღევანდელი მდგომარეობით განხორციელებულია საკადასტრო ერთეულების გაერთიანება და ასევე რეკონსტრუქციის ნაცვლად ხდება ახალი მშენებლობა, განმცხადებლებმა მოითხოვეს აღნიშნული ცვლილებების დაფიქსირება ხსენებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში (ცვლილების განხორციელება საჭირო იყო ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2016 წლის 29 ივლისის #1–1376 ბრძანებაშიც). შესაბამისად, აღნიშნული საკითხი განხილულ იქნა „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭო“–ს 2017 წლის 15 ივნისის #24 სხდომაზე, რომლის წევრთა დადებითი რეკომენდაციების შესაბამისად მომზადდა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 26 ივნისის #1–1488 ბრძანება და სათაური ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „ ქ. თბილისში, მოსკოვის გამზირი #31-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: #01.17.11.006.034) ავტოგასამართი სადგურის განთავსების მიზნით, სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შსახებ.“ ხოლო პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „ქ. თბილისში, მოსკოვის გამზირი #31-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: #01.17.11.006.034) ავტოგასამართი სადგურის განთავსების მიზნით,გაიცეს სპეციალური (ზონალური) შეთანხმება.“
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია ცვლილების შეტანა 2016 წლის 31 აგვისტოს #2809543 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად,

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შეტანილ იქნეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 31 აგვისტოს №2809543 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში და მშენებლობის სახეობის – გრაფაში დაფიქსირდეს: ახალი მშენებლობა;
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 31 აგვისტოს №2809543 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში საკადასტრო კოდის – გრაფაში დაფიქსირდეს : #01.17.11.006.034 საკადასტრო კოდი;
3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 31 აგვისტოს №2809543 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებს დაემატოს ახალი გეგმა და ფართობი (საკადასტრო კოდი #01.17.11.006.034 მიწის ნაკვეთის ფართობი: 4190 კვ.მ, რეგისტრაციის ნომერი #882017460274; რეგისტრაციის თარიღი 01/06/2017 წ.) და ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (რეგისტრაციის ნომერი #882017460274, რეგისტრაციის თარიღი 01/06/2017 წ.);
4. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 31 აგვისტოს №2809543 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებიდან ამოღებულ იქნეს იქნეს შემდეგი ჩანაწერი: „1) • შენობა-ნაგებობების რეკონსტრუქციის დროს: - არსებული მშენებლობის განხორციელების დოკუმენტები ან/და აზომვითი პროექტი: - საექსპერტო დასკვნა შენობა-ნაგებობის მდგომარეობის შესახებ.“;
5. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 31 აგვისტოს №2809543 ბრძანებასთან ერთად;
6. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, შარტავას ქ. #7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

• დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ.

შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.